



Milsan

Art. Nr. 1038

რძის შემცველი ხბორებისთვის

შემაღენლობა:

რძის ფხვნილი, წვრილად დაფქვილი სელის ექსტრაქტი, სოიოს ცილის კონცენტრატი, საფუარი, მცენარეული ზეთი - ცხიმი (პალმის ზეთი, ქოქოსის ზეთი)

ხარისხობრივი მახასიათებლები:

23,0% ნედლი პროტეინი, 17,0% ნედლი ცხიმი, 7,2% ნედლი ნაცარი, 2,5% ნედლი უჯრედანა, 0,9% კალციუმი, 0,7% ფოსფორი, 0,5% ნატრიუმი, 12% ტენიანობა 12% - მდე.

შემაღენელი ნივთიერებები/კგ:

კვებითი დანამატები: 50.000 i.E. ვიტამინი A (3a672a), 5.000 i.E. ვიტამინი D3 (E 671), 100 მგ ვიტამინი E / α - ტოკოფეროლ აცეტატი (3a700), 4 მგ ვიტამინი K3, 100 მგ ვიტამინი C, 4 მგ ვიტამინი B1, 4 მგ ვიტამინი B2, 2 მგ ვიტამინი B6 B6 / პიროდოქსინჰიდროქლორიდი (3a831), 20 μ g ვიტამინი B12, 10 მგ კალციუმ-D-პანთოტენატი (3a841), 20 მგ ნიაცინამიდი (3a315), 1 მგ ფოლიუმის მჟავა, 200 μ g ბიოტინი, 250 მგ ქოლინ ქლორიდი (3a890), 100 მგ რკინა (E 1) როგორც რკინის-(II)-სულფატ მონოჰიდრატი.

ზოოტექნიკური დანამატები: 8×10^8 KBE რძემჟავა ბაქტერიები Enterococcus faecium M74 (NCIMB 11181)



Milsan-ის მოხმარების წესი:

ხბოს დაბადებიდან ხსენით გამოკვების შემდგომ, შვიდი დღის შემდეგ გადაგვყავს Milsan-ზე.

1 კგ რძის ფხვნილი ამზადებს 8 ლიტრ რძეს:

გახსნის ტემპერატურა: 40-42 °C

სასმელი ტემპერატურა: 36-38 °C

Milsan ეძლევა ხბოს დღის განმავლობაში 6 ლიტრი. დილა-სადამოს 3-3 ლიტრი.

მაღალპროდუქტიული ხბორების შემთხვევაში, შესაძლოა მივცეთ დღის განმავლობაში 8 ლიტრი.

თუ გსურთ ხბო გაზარდოთ რძის შემცველით, მაშინ იგი დაბადებისთანავე უნდა მოაცილოთ დედას. განაცალკევოთ და 3 საათის განმავლობაში მიეცით მოწველილი ხსენი. ხსენის შემადგენლობაში არსებული იმუნოგლობულინი აუცილებელია ახალდაბადებული ხბოს იმუნიტეტისთვის.

შემდეგ კი ნელნელა ვაჩვენებთ რძის შემცველს:

დაბადებიდან მე-5 დღეს 2,5 ლ ძროხის რძეში ვურევთ 2,5 ლ Milsan-ით დამზადებულ რძეს

დაბადებიდან მე-6 დღეს 1,5 ლ ძროხის რძეში ვურევთ 3,5 ლ Milsan-ით დამზადებულ რძეს

დაბადებიდან მე-7 დღეს 0,5 ლ ძროხის რძეში ვურევთ 4 ლ Milsan-ით დამზადებულ რძეს



სასურველი შედეგის მისაღწევად აუცილებელია ყურადღებით დავიცვათ მოხმარების წესები:

Milsan-ის ფხვნილს ვათავსებთ საწოვარიან ვედროში და ვასხამთ 40-42°C ტემპერატურის წყალს, ვურევთ (მორევა უკეთესია შემრევით, რათა სრულად გაიხსნას რძის შემცველი წყალში), შემდგომ ვაგრილებთ სხეულის ტემპერატურამდე 36-38°C - მდე. საწოვარიან ვედროს ვამაგრებთ ბუნებრივ პოზიციაში, როგორც დედისგან წოვს ხბო. ანუ, ზემოდან ქვემოთ. თუ ამ წესს არ დავიცავთ და ვედროს პირდაპირ ძირს მოვათავსებთ, მივიღებთ არასასურველ შედეგს. ქვემოდან ზემოთ კვების შემთხვევაში რძე ხვდება ხბოს კუჭის იმ ნაწილში, საიდანაც შეითვისებს წყალს. ამის შედეგად ხბოს ორგანიზმი რძე ვერ მუშავდება, წარმოიქმნება არასასურველი ბაქტერიები და გარდაუვალია კუჭის აშლილობა. გართულებების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საწოვარიანი ვედრო დამაგრდეს ბუნებრივ პოზიციაში. საწოვარას არ უნდა ჰქონდეს მსხვილი ხვრელი. დიდი რაოდენობით რძის კუჭში მოხვედრის შემთხვევაში, ვერ ესწრება საკვების შეთვისება და 70% მოუწელებელი რჩება. ზემოაღნიშნული წესები მარტივია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი.

Milsan-თან ერთად ხბო უნდა იკვებებოდეს მარცვლეულით. ამ პერიოდში ხბოს საშუალოდ სჭირდება 120 კგ მარცვლეული, 40 კგ პრესტარტერი - Meggi 35 და მცირე რაოდენობით საქონლის საკვები (ბალახი, თივა, სილოსი და ა.შ.).

მზა საკვები მზადდება 70% მარცვლეულისა და 30% Meggi 35-ით. როდესაც ხბო აღნიშნულ მზა საკვებს შეჭამს 1,5 კგ ოდენობით, მაშინ უნდა შეწყდეს Milsan-ით კვება. ეს მიგვანიშნებს, რომ ხბო უკვე გაიზარდა და მზად არის ჩვეულებრივი საკვებზე გადასაყვანად.

ზემოხსენებული მოხმარების წესების დაცვის შემთხვევაში გარანტირებულია საქონლის ჯანმრთელობა, სწრაფი მატება და იოლი გადასვლა ჩვეულებრივ საკვებზე.